ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 27
30/11/2016

27-08-4-201611301654

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აგვისტოს N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ - საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საკრებულო ადგენს:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აგვისტოს N24 დადგენილებაში, (www.matsne.gov.ge 08/08/2016, სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.114.016319) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1.

დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და საჯარო ინფორმაციის ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 2.

დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 1. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და საჯარო ინფორმაციის ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესი დანართი N1-ის შესაბამისად“.

მუხლი 3.

დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2. დამტკიცდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებული პროაქტიულად ან/და ბეჭდური სახით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა დანართი N2-ის შესაბამისად“.

მუხლი 4.

დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).

მუხლი 5.

დადგენილებით დამტკიცებული N2 დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „პროაქტიულად ან/და ბეჭდური სახით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა“.

მუხლი 6.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა